



დაბიძნერი

№50

გამოდის კვირის სამჯერ

21 ივნისი 1944 წ.

გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობები

ლონდონში და სამხრეთ ინგლისში 16 ივნისიდან შეუწყობილია წვიმა „დინამიკით სავსე მებომბები“

ლონდონის ნავთსადგურის საწოლები და გემთა გამყარებული ქარავნები ცეცხლშია გახვეული

ლამანონის ფრანგულ ნავიკაზად ისმის ავითქების ხმაურება

კოტანტინის დასავლეთით წაფავა მებომბ კვირად უზით ამერიკალებს

იტალიაში მარინასა და კაკოლივერის შუა, სადაც ამერიკალებმა ჯარები გადმოხეს, მძიმე ბრძოლები დაიწყო

ფიურერის მთავარი ბანაკი.

18 ივნისი.

გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

ლონდონს და მის განაპირა უბნებს მოედო მძლავრი და შეუჩერებელი ხანძარი.

ნორმანდიაში, გუშინ, ფრონტის მრავალ სექტორში ქვეითა და ტანკთა ძლიერ შენაერთებით წარმოებულნი, მტრის მძლავრი შემოტევები უშედეგოდ დარჩნენ. ტილიდან ჩრდილო - აღმოსავლეთით და სამხრეთ - დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯავშნიანმა შენაერთებმა მოიგერიეს მტრის ყველა იერიშები. გომონის აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილებმა იერიშით დაიკავეს ლივრის საზღვრით მდებარე მდლობები. ბრძოლათა სიმძიმის ცენტრი ამჟამად მდებარეობს ბალერუდან სამხრეთ - დასავლეთით მდებარე უბანში, სადაც ამერიკელთა დაგროვილი დიდი ძალები ცდილობენ ჩვენი ფრონტის გარღვევას. სენ - ლოს მიმართულებით გააფორებული ბრძოლებით მტერი უკუგდებული იქმნა, რომლის დროს ამერიკელებმა დახოცილთა დიდი მსხვერპლი გაიღეს.

მარტო ერთ, ვიწრო სექტორში ამერიკელებმა ათასზე მეტი ჯარისკაცი დაკარგეს. ასეთი დიდი დანაკლისის შემდეგ, ამერიკელებმა სწრაფად დაიხიეს თავიანთ წინანდელ

პოზიციებზე.

კოტანტინის ნახევარ კუნძულზე, მტერი განაგრძობდა იერიშების მოტანას სენ - სოვერ - ლევიკონტის სექტორში, სადაც მას უმნიშვნელო ტერიტორიალური მიღწევა აქვს.

მთელი დღის განმავლობაში გერმანული ავიაცია აქტიურ დახმარებას უწევდა ბრძოლებში ჩვენს ქვეითა ნაწილებს. გუშინ ჩვენმა თვითმფრინავებმა ჩასძირეს მტრის ოთხი გემი და ერთი მძიმე კრეისერი მძიმედ დააზიანეს.

კოტანტინის ნახევარ - კუნძულის დასავლეთით გერმანულ გემთა ქარავანში უშედეგო თავდასხმის დროს მტერმა დაჰკარგა I ჩქარმავალი კატერი.

სენის შესართავთან მდგომმა, ჩვენმა სანაპირო ბატარეებმა ცეცხლი მისცეს და დააზიანეს მტრის სამხედრო გემები და ტრანსპორტები. ლამანონის წყლებში ჩვენმა წყალქვეშა ნავეებმა ჩასძირეს მტრის სამი კონტრ - ნაღმოსანი. გადმოსხმის დღიდან, ჩვენმა საჭაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს მტრის 301 თვითმფრინავი, ხუთი დიდი პლანერი და 20 ტანკი გაანადგურეს, აგრეთვე მძიმედ დააზიანეს მტრის ერთი კრეისერი. მტერი, რომელმაც მხოლოდ კუნძულ ელბის ჩრდილოეთ და სამხრეთ - აღმოსავლეთის ნაწილში შესძლო ჯარების გად-

მოსხმა, კონტრ - იერიშით ყველგან ზღვაში იქმნა გადაგდებული. მხოლოდ მარინას ახლოს, მტერმა შესძლო ხიდის თავის დამყარება, სადაც გააფორებული ბრძოლები სწარმოებენ.

აღმოსავლეთის ფრონტზე, მხოლოდ ბერეზინას, ვიტებსკის სამხრეთით და ნოვეჟევის სამხრეთ - აღმოსავლეთით სწარმოებენ ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები. გასულ დღეს გერმანული ავიაციის ძლიერი შენაერთები, გომელის, ნოვოზიბკოვის და შჩორსას სადგურებს თავს დაესხნენ წარმატებით. დიდი ზარალი მიაყენეს რკინისგზათა მოწყობილებებს და იარაღის და საწვავ ნივთიერებათა საწყობებს.

ნორვეგიის ნაპირებთან, გერმანულ გერმთა ქარავანზე თავდასხმის დროს, საბჭოებმა დაჰკარგეს 37 თვითმფრინავი.

კირკინესზე თავდასხმის დროს ჩვენმა საპაერო თავდაცვის ძალებმა გაანადგურეს საბჭოთა 30 თვითმფრინავი.

გასულ დღეს ინგლისის ცალკეულმა ავიონებმა დაბომბეს ბერლინის და რეინ - ვესტფალიის რაიონები. პოლკოვნიკმა ლენტმა გასულ დღეს ჩამოაგდო მტრის მესამე ავიონი.

გერმანული ავიაცია წარმატებით თავს დაესხა სამხრეთ ინგლისში მდებარე სამხედრო მნიშვნელობის ადგილებს.

ინგლისი ახალ იარაღის ცეცხლის ძველ

იარაღის ერთი დიდი ქარხანა ცეცხლშია გახვეული

ინგლისის პარლამენტის დავუტატებმა თავს უშვალეს

შვეციის გაზეთის კორესპონდენტების აზრით „დინამიკით გატენილ მეტეორის“ სიჩქარე უდრის 450 კმ. საათში. ინგლისის სამხედრო სამინისტრო ჰპირდება უდიდეს თანხას, ვინც შესძლებს ამ „მეტეორთა“ შედმიწვევითი ფოტოგრაფიის გადაღებას. რეინის სამხედრო ავტორიტეტები საცხებით კმყოფილნი არიან ახალი იარაღის ხმარების შედეგებით და მათივე განცხადების მიხედვით, მოსალოდნელია, ამ იარაღის გაუმჯობესება. მოსალოდნელია აგრეთვე, რომ ახლო მომავალში თავს დაესხნენ ბრისტოლის კანალზე და სამხრეთ ინგლისში მდებარე მნიშვნელოვან ყველა ნავთსადგურებს.

რეიტერის სააგენტო ცნობით, გასულ პარასკევს, მეტად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის დროს, პარლამენტის სხდომას, 615 დეპუტატისაგან მხოლოდ 166 წევრი დაესწრო. როგორც გამოირკვა დანარჩენმა 499 დეპუტატმა, ე. ი. პარლამენტის სამმა - მეოთხედმა თავს უშველა.

ქ. ვულვიჩის „სამეფო არსენალს“, რომელიც მსოფლიოს ერთ - ერთ უდიდეს სამხედრო მასალათა ქარხანას წარმოადგენს, მოხვდა ახალი იარაღის ყუმბარა და ის ამჟამად იწვის. ინგლისიდან მოსული ცნობების მიხედვით, გუშინ, 17 ივნისს, დილით დაწყებული განგაში 16 საათით გაგრძელდა. ლონდონის ცხოვრება საცხებით შეჩერებული იქმნა. ლონდონს არტყია ცეცხლის რკალი. გამორკვევა იმ ზარალის, რაც მან ნახა, ნაადრევია.

საუბარი ლავრონარებთან

ტფილისში ბატონაგა რუსეთი

V

1801 წელს, 12 სექტემბერს, რუსული ჯარის თანდასწრებით, სიონის ტაძარში წაკითხულ იქმნა, რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე პირველის მანიფესტი. მანიფესტი აუწყებდა ქართველ ხალხს, რომ ამ დღიდან ქართველობა რუსეთის იმპერატორის მოქალაქეები ხდებოდნენ.

ისარგებლა რა რუსეთმა, საქართველოს სისუსტით, მასთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია, მოუსპო მას საკუთარი სახელმწიფოებრივი სახე და მოახდინა მისი სრული ანექსია. საქართველოს ბედი ჩაიბარა, რუსის იმპერატორის მიერ დანიშნულმა მთავარმართებელმა. ამ დღიდან იწყება ქართული ისტორიის ახალი ფურცელი: პირველი ნაბიჯი რუსული ხელისუფლებისა იყო სამეფო გვარის საქართველოდან განდევნა. მრავალ საუკუნოვანი ბაგრატიონთა დინასტია უხეშად მოსჭრეს ქართულ სხეულს. თვით ქართველ ერს, მისთვის უცნობი და მიუღებელი მმართველობის სისტემა ძალით თავზე მოახვიეს. გაიდვა მუდმივი უკმაყოფილების და ბრძოლის ხიდი ქართველ ხალხსა და ახალ ხელისუფლების შორის.

გოლანდიელმა როტიემ, რომელიც იმ ხანებში ტფილისში იმყოფებოდა, 1827 წელს ბრიუსელის ჟურნალში მოათავსა საყურადღებო წერილი, სადაც აღწერს საქართველოს იმ ხანების ამბავს და უკანასკნელი დედოფლის, „მშვენიერთა ქალთა შორის ბრწყინვალე“ მარიამის, ტრაგიზმით სავსე ისტორიას. მოგვყავს მისი თარგმანი.

„კასპიის და შავ ზღვას შუა მდებარე ქვეყანა წარმოადგენს მშვენიერს და ნაყოფიერ ჭალებს, რომელთაც ჩრდილოეთით საზღვრავს კავკასიის მთები. ამ მთებიდან სამხრეთით გადმოდის მთის რამდენიმე გრეხილი, რომელიც ჰყოფს მთელს ქვეყანას რამდენიმე ნაწილად ან პროვინციად. თუ ადგილობრივ მატთან დაუჯერებთ, ამ ნაწილებს მტკიცედ დაუკავთ თავიანთი თავისუფლება იმ არეულობათა დროს, როცა აზიის მრავალი სახელმწიფო დამხობილა. იმავე მატთან სიტყვით, ამ ნაწილებს განაგებენ სამეფო დინასტიები, რომელ-

ნიც განუწყვეტლად თვით ნებროთიდან მიმდინარეობენ. რაც უნდა სარწმუნო იყოს ადგილობრივ მეფეთა ასეთი უძველესი დროის შთამომავლობა, მაინც ამ პროვინციების წარსული, ზღაპარს წააგავს და ისტორია მრავალს ზღაპრულს და გამოურკვეველ რას-




საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიაჰმი

მე შეიცავს. ამ ისტორიის ნათელი ეფინება მხოლოდ იმ დროიდან, როცა სპარსელები და ოსმალები იწყებენ ამ ქვეყანაზე თავდასხმას და მის განადგურებას. ის კი ნამდვილია, რომ ამ ქვეყნის მკვიდრნი მარად მამაცურ წინააღმდეგობას უწევდნენ თავიანთ მტრებს; შეუდრეკელი სიმამცით დაიცვეს მათ თავისუფლება და ქრისტეს სარწმუნოება, სწორედ იმ დროს, როცა ყველა სხვა მეზობელი ერნი დაემორჩილნენ მაჰმადის თაყვანისმცემლებს, რომელთაც სწრაფად მოიხვეჭეს ძლევამოსილობა და განავრცელეს დამორჩილებულ ერთა შორის როგორც სარწმუნოება, ისე კანონები ახალი წინასწარმეტყველისა.

ვიდრე იმის მოთხრობას შეუდგებოდეთ, თუ როგორ დასრულდა ამ ქვეყნის მეფეთა ისტორია იმ ჟამს, როცა ეს ქვეყანა შეუერთდა რუსეთის იმპერიას, საჭიროა მოკლედ გიამბოთ ამ ქვეყნის იმ დროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა.

ამ ტრადიკულმა ბოლომ თავის დროზე ისეთი დიდი აშბავი მოახდინა, ისეთი დიდი

ხმაურობა ასტეხა, რომ შეუძლებელია იგი დავიწყებულ იქმნას, და ოდესმე იქნება ისტორიამაც და პოეზიამაც იგი შეამკოს მომხიბვლელის მჭერმეტყველებით და ჰარმონიული ლექსებით. ამ საშინელ ამბის მომქმედ პირთა ბრწყინვალეობა, მათი ხასიათის კეთილშობილე-



საქართველოს უკანასკნელი მეფე ბიორბი XII

ბა, გამართული მოქმედება, ქვეყნის დაცვისთვის განუწყვეტელი ბრძოლა, საშიში და რაინდული საქმენი, — ყოველივე ეს მიიპყრობს პოეტების ყურადღებას. რადგან პოეტებს უყვართ შეამკონ ყოველივე რომანტიული ტრადიკული მოქმედებანი. ხასიათი დედოფლისა, რომელსაც სწადია დაიცვას თავისი ღირსება უბედურობის დროს, სიყვარული თავისი ქვეყნისადმი, რომელიც მას უღვივის გულში, მისი კეთილშობილური სიამაყე და აგრეთვე სიმტკიცე, რომელიც ვერ შეურყია ვერც იმ სისხლის დანახვამ, რომელიც მან დაღვარა, ვერც იმ ჭრილობამ, რომელიც მან მიიღო და ვერც სამხედრო ძალამ, რომელიც მას გარს შემოერტყა, — ყოველივე ეს ისეთი ძლიერი თვისებანი არიან რომ თვითეული მათგანი საკმაო ჩვენს გულში სიბრალულიც გამოიწვიოს, თავზე ზარიც დაგვეც და ფრიად ტრადიკული სურათიც დაგვიხატოს, რადგან დედოფალი ერთსა და იმავე დროს ცოტა დამნაშავეც არის და დიდად უბედურიც...
... „მას შემდეგ რაც რუსეთ-

ის იმპერიამ შეიერთა საქართველო... სამეფო გვარი გადარსებულ იქმნა რუსეთში. დავითი, უფროსი შვილი გიორგისა, საქართველოს სახელ განთქმულის მეფის ირაკლის შვილისა, თავის მამის სიკვდილის შემდეგ რამდენიმე ხნის განმავლობაში განაგებდა საქართველოს, როგორც რეგენტი—1803 წელს დავითი გაიგზავნა რუსეთში. შემდეგ ამისა მთელი ეს ქვეყანა გადაიქცა რუსეთის პროვინციად. ამ ახალ პროვინციის მთავარ — მართველად და ამასთანავე ჯარის უფროსად, რომელიც გამოგზავნილი იყო ამ ქვეყანაში, ლენერალ კნორინგის ხელქვეით დაინიშნა ლენერალი თავადი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი, საქართველოს სამეფო სახლობის ნათესავი, მაგრამ დიდის ხნიდან რუსეთის სამსახურში მყოფი და მისი ინტერესებისათვის თავგადადებული.

ტფილისში დარჩა მარიამი, თავადი გიორგი ციცივილის ქალი, მეორე ცოლი მეფე გიორგი მე-XIII-სა. მარიამს თანჰყავდა ტფილისში შვიდი შვილი, რომელთა შორის ხუთი ვაჟი იყო და ორი ქალი. მიზეზი დედოფლის საქართველოში დატოვებისა ნამდვილად არ ვიცით: იქნება რუსეთმა არა სცნო საჭიროდ ამ ქვეყნიდან გაეძევებინა სუსტი ქალი თავის წვირლ — შვილებით, ან იქნება პატივი დასდო დედოფლის მხურვალე სურვილს, რათა დღენი თვისნი დაესრულებინა სამშობლო ქვეყანაში, ხოლო მარიამი ცდილობდა რუსებისაგან თავი დაეღწია და სამუშაოდ უშიშრად დარჩენილიყო იმ ქვეყანაში; სადაც პირველად თვალები ახილა, ამისთვის განიზრახა ქალაქიდან გაქცევა და ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას ჩუმად შეუდგა.

გენერალი ციციანოვი კი ახლო თვალს ადევნებდა დედოფლის ყოფა-ქცევას და ყოველივე მის განზრახვას ტყობილობდა. რადგან ციციანოვმა იცოდა დედოფლის დადუდეგარი და გაბედული ხასიათი, მშინვე ურჩია თავის უმაღლეს მთავრობას, რომ დედოფალი გაგზავნეთ სადმე საქართველოდანო. სანამ შესაფერი განკარგულება მოუფიქროდა უმაღლეს მთავრობისაგან, ციციანოვი არაფერსაშუალებას არ ზოგავდა,

ცხრა ძმა ხერხეულიძე

რომ მარიამი ხელიდან არ გაეშვა და ამისათვის ყოველ მის ნაბიჯს თვალყურს ადევნებდა. გენერალმა თავისკენ მიიბირა ვინმე კალატოზოვი, ქართველი აზნაური, რომელიც დედოფლის კარის კაცი იყო და რომელსაც დედოფალი ყველაზე უფრო ენდობოდა. ეს კაცი მოისყიდეს, როგორც ჩვეულებრივ ყიდულ ობიექტებს, ბევრი საჩუქრების დაპირებით. კალატოზოვი ატყობინებდა ციციანოვს ყოველივეს, რაც ხდებოდა მარიამის სასახლეში და რასაც ამბობდა თვით დედოფალი.

ფშაველები და თუშები, რომლებიც სცხოვრობენ იორის სათავეში, მით უფრო საშიშარნი არიან, რომ გულადობა და შურის ძიება სჯულად აქვთ გადაქცეული. მათის კანონის და ჩვეულების ძალით ის კაცი, რომელიც ომიდან დაბრუნდება უკანოდან დაჭრილი, ან წვერს მოიპარსავს და ან სანამ რომელსამე თავის ნათესავის სიკვდილს არ იზღავს, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ეს მთიელები ძველი დროიდან ბოლომდის მეფის მცველ რაზმს შეადგენენ და ყოველთვის დიდად ერთგულნი იყვნენ სამეფო სახლობისა. მარიამ დედოფალმა სთხოვა ამ მთიელებს შემწეობა, როდესაც განიზრახა ტფილისიდან გაქცევა, თუ თვით მთიელებმა განიზრახეს დედოფლისა და მისი შვილების გახიზნვა თავიანთ ოჯახებში, თავიანთ მთებში. — ის კი ნამდვილია, რომ ეს გულადი ხალხი გულმხურვალედ შეუდგა ამ განაზრახვის სისრულეში მოყვანას, და მარიამი მათთან შეთქმული, ხელს უწყობდა მათ მზადებას და მოუთმენლად მოელოდა იმ დღეს, როცა ქალაქი თავი უნდა დაეხრია. საუბედუროდ, ყოველივე ეს მზადდებოდა კალატოზოვის საშუალებით, რომლისადმი დედოფალს, როგორც ვთქვით, სრული ნდობა ჰქონდა. ხოლო კალატოზოვი იყო მიზეზი, რომ ეს საქმე ჩაიშალა სწორად იმ წამს, ანუ უკეთ ვთქვათ იმის წინა დღით, როცა ყოველივე მზად იყო მთებში დედოფლის გაქცევისათვის.

(დასასრული იქნება)

გ. ბარდაველიძე

მიღწეული თორები, მუზარდი, აბჯარი, ქართლის მიწა ქართველთა, სისხლით ვერა ძღებოდა... სამშობლოს დამცველები, მისთვის ნამაგარი — ცხრა ძმა ხერხეულიძე სიკვდილს ერკინებოდა.

თითო ცხრა დღეს იბრძოდა, ცხრა ჭრილობა სტკიოდა, ცხრა მკლავის მოქნევისას მტერი იჟლიტებოდა, დევებივით იბრძოდენ, სისხლი ღვარად სდიოდათ... ქართლის მიწა ქართველთა სისხლით ვერა ძღებოდა...

როს სამშობლოს ველებზე გაირინდა დუმილი, მტერი გაწყდა. ვაჟკაცი რვალს და ფოლადს ჰფერავდნენ მიწამ-ხარბმა დაიცხრო ვეშაპური წყურვილი ხერხეულიძის სახლში ქალნი შავებს ჰკერავდნენ.

ცხრა ძმის ლალა - გამზრდელი, ფეხზე ადგა ჭალარა გადაჰკოცნა ცხრა ცხედარს, ცხრა ადლი აქვთ მკერდია იტყვის: „თქვენ მასახელეთ, არ ვიტყვით, აღარა, ზურგში მტრისა მახვილი არც ერთს არ მოჰხვედრია“.

და ვინ მოსთვლის რამდენი, დაიხოცა ერთგული. საქართველოს — რამდენმა ანაცვალა სახელი მამულს მტკიცედ იცავდნენ, გოლიათნი სხეულით, ამ ვაჟკაცთა ლაშქარის ვინ იქნება დამთვლელი.

როცა მათ გაეხსენებ, ვგრძნობ საკუთარ სხეულზე ყრუოლა როგორ გამიბრუნეს, მაჯა დამიფუბდება, ცხრა დევი ბუმბერაზი, ცხრა ძმა ხერხეულიძე მამულისშვილთა ლაშქრის წინ სარდლად მიუძღვება.

თბილისი 1940 წ.

გიორგი ლოლუა

† ზურაბ ავალიშვილი

დადუმდა ზურაბ ავალიშვილის ენა, გადატყდა მისი მშვენიერი კალამი! უძრავად ასვენია უცხო მიწაში ის, ვისაც კავკასია თუ არა, სრულიად მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა მოვლილი. საუკუნო ძილით სძინავს ერთ პატარა სოფლის სასაფლაოზე, მიუნხენის ახლო. 22 მაისს უეცრად შეწყდა მისი დიდი გულის ცემა. ამ მძიმე წუთს მასთან მხოლოდ ერთი ქართველი ყოფილა, ცნობილი პროფესორი ნიკურაძე, რომელიც, როგორც ვიცით დიდის ყურადღებით ეპყრობოდა ავადმყოფს.

აღარ არის ზურაბი, „შეგვეხსნა რკინის კარი“. ამ ორიოდ სტრიქონში შეუძლებელია და მე არც შევეცდები ზურაბ ავალიშვილის მეტად მდიდარს და მრავალმნიშვნელოვან ფაქტებით აღსავსე ცხოვრების მოთხრობა — შეფასებას. ამისათვის სულ სხვა დრო, სხვა ადგილი და პირობებია საჭირო. უნდა დავკმაყოფილდე მოკლე ბიოგრაფიული ხასიათის ცნობებით. ყოველ შემთხვევაში მაინც საჭიროა აღვნიშნოთ ის დაუფა-

სებელი ღვაწლი და შრომა რაიც მან გასწია საქართველოს პოლიტიკურად აღდგენისა და იურიდიულ დამოკიდებულების მოსაპოვებლად.

ზურაბმა, სულ ახალგაზრდამ დაასრულა სწავლა თბილის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი. ბევრი დრო დაჰყო იქ და მხოლოდ რევოლიუციის დროს გადმოსახლდა თბილისში.


პირველი მისი წიგნი დაიბეჭდა რუსულად პეტერბურგში 1896 წ. „საქართველოს რუსეთთან შეერთება“, რომელმაც მსწრაფლ მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ეს შრომა უკვე ცხადად ჰმოწმობდა ახალგაზრდა ავტორის ლიტერატურულ და კრიტიკულ დიდ ნიჭს და საგნის ცოდნას. ტექსტში თუ სხოლიოებში ზოგჯერ შეხვდებით ენამახვილ „გაკაწვრას სხვა და სხვა პირობებისას, რაიც ამ ნაწარმოების ინტერესს ჰმატებს. მისმა მეგობარმა არჩილ ჯორჯაძემ, თუ არა ვცდები, ზოგიერთი პირადი შეხედულება ზურაბი-

ს არ მოიწონა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ არჩილს, ზურაბი თავის „ობიექტიურ“ მსჯელობაში საქართველოს შესახებ ზოგჯერ უზომო სისასტიკეს იჩენდა.

რასაკვირველია რაც მან დასწერა, ანუ უკეთ, რის დასტამბაც მოასწრო ლტოლვილობაში, ყოველივე დიდი ღირებულებაა. 1924 წელს დაიბეჭდა მისი დიდი ნაშრომი „საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში“. ეს წიგნი გამოვიდა იმ დროს როდესაც საქართველოში იფეთქა აჯანყებამ. ზურაბი, რასაკვირველია კარგად გრძნობდა ამ უხერხულობას, მაგრამ წიგნი უკვე მზად იყო უფრო ადრე ვიდრე აჯანყება გამოცხადდებოდა, ფაქტიურად კი წიგნს არავითარი გავლენა არ ჰქონია მდგომარეობის მსვლელობაზე. ეს არ არის არც მხოლოდ პამფლეტი. არც მხოლოდ ისტორია საკითხისა. ყოველ შემთხვევაში დაწერილია დიდი ნიჭით. ეს უდავოა.

1925 წლიდან დაწყებული, ზურაბმა გამოაქვეყნა ლონდონის, ბრიუსელის, პრაგის გამოცემებში რამდენიმე საინტერესო მონოგრაფია. 1926 წ. დაბეჭდა „ჯეაროსანთა დროიანი“. 1931 წ. გამოვიდა მისი შესანიშნავი „ვეფხისტყაოსანის საკითხები“, მეტად ძვირფასი გამოკვლევა და მრავალი ტაეპის განმარტება, მანამდე სრულიად გაუგებარი არა თუ უბირი მკითხველისათვის, თვით რუსთაველოლოგიის სპეციალისტებისათვისაც. სამი „ცდა“ რომელთაგანაც შესდგება ეს წიგნი, საჯაროდ იყო წაკითხული, მეოთხე კი ამ წიგნში პირველად დაიბეჭდა. 1933 წელს დაისტამბა ძვირფასი ისტორიული მონოგრაფია „დავით კუროპალატის“ შესახებ, ფრანგულ ენაზე. 1939 წ. ზურაბმა დაბეჭდა მეტად საინტერესო „თეიმურაზ - 1 და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“.

როდესაც ამ გამოცემებს ეცნობით და გადაათვალიერებთ დართულ წყაროთა ხიას, ხედავთ და თითქმის გაოცებთ, როგორი გულდასმით არის თვითოეული საკითხი შესწავლილი. ზურაბმა მშვენიერად იცოდა მრავალი ენა. მისი გასაოცარი მენსიერება უაღრეს-



გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობები

ლონდონი და სამხრეთ - ინგლისი ახალი იარაღის ცაცხლის ქვეშ

რეინის სამხედრო წრეები აცხადებენ, რომ ეს არის სრულიად უცნობი ტიპის ამაფეთქებელი, იზვიანითი სიმძლავრის ყუმბარა

გერმანული ნაწილების მიღწევაებითი იერიშები ნორმანდიის რამოდენიმე საქტორში

ფიურერის მთავარი ბანაკი.

16 ივნისი.

გერმანიის ჯარების უმაღლესი სარდლობა იუწყება:

სამხრეთ ინგლისი და ლონდონი, მისი მიდამოებით, 16 ივნისის ღამეს და დღეს მორწყული იქნა ძლიერ დიდი კალიბრის, ახალ ასაფეთქებელ მასალით სავსე ყუმბარებით. გუშინდელი დღე ნორმანდიის ფრონტზე აღნიშნული იქნა ჩვენი ჯარის წარმატებითი კონტრ იერიშებით.

მდინარე ორნის მარჯვენა მხარეზე მდებარე მტრის ხიდის თავის ერთ ადგილას შეიჭრენ ჩვენი ჯავშნაირი შენაერთები.

გომონის დასავლეთით, აგრეთვე კარანტინის სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენმა დივიზიებმა გადარეკეს მტერი და გააძლიერეს ჩვენი პოზიციები. კარანტინის რაიონში წარმოებულ ბრძოლების დროს მტერმა განსაკუთრებით დიდი ზარალი გაიღო.

სენტ - მერ ეგლიზის დასავლეთით და ჩრდილოეთით გრძელდება მეტად მძაფრი ბრძოლები. ამ სექტორში მტერს მეტად უმნიშვნელო მიღწევები აქვს.

16 ივნისის ღამეს ჩვენი ავიაცია წარმატებით ხელს უშლიდა მტრის ჯარების გადმოსხმას. წარმატებით დაბომბილი იქნა მტრის გემთა დასაწყისის ადგილები და გადმოტანილი იარაღთა საწყობები. ბორკუმის ყურეში ინგლისის ბომბ-

დამშენები თავს დაესხნენ გერმანულ გემთა ქარავანს, რომლის დროს მტერმა 10 თვითმფრინავი დაჰკარგა. ჰოლანდიის ნაპირებთან ჩვენმა სადარაჯო გემებმა ჩასძირეს ინგლისის ერთი დიდი ჩქარმავალი კატერი და მეორეც ძლიერ დაზიანეს.

ცენტრალურ იტალიაში, გუშინ, მთელი დღის განმავლობაში მტერი დიდ ძალი ჯარებით გვიტევედა, განსაკუთრებით ორვიეტოს ჩრდილოეთით და ჩრდილო - აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. გუშინ იტალიის დასავლეთ ნაპირებთან მტრის ავიონები ისევ თავს დაესხნენ გერმანულ გემ - გოსპი-

ტალს „ერლანგენს“ და მას ცეცხლი გაუჩინეს.

აღმოსავლეთის ფრონტზე გუშინ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან ბრძოლებს.

შორეულ ჩრდილოეთში, კანდალაკუს რაიონში ბოლშევიკების წინააღმდეგობის ცდები ისევ უშედეგოდ დარჩენ. ნარვის რაიონში ჩამოგდებული იქნა საბჭოთა ხუთი თვითმფრინავი.

გუშინ ამერიკელ ბომბდამშენთა ერთმა სუსტმა შენაერთმა დაბომბა ჰანოვერის რაიონი. გერმანულმა ავიაციამ გუშინ ხელახლად დაბომბა სამხრეთ - ინგლისში მდებარე სამხედრო მნიშვნელობის ადგილები.

პრესის მიმოხილვა

პრესა გადმოსხმის შესახებ

გერმანიი

გერმანულ პრესას მოჰყავს ნორმანდიის ნაპირებთან წარმოებულ ერთი კვირის ბრძოლების ჯამი.

„ფოლკიშერ ბეობახტერი“ ხაზს უსვამს იმას, რომ მტრის ხიდის თავებს აქვთ უმნიშვნელო სიღრმე, თუმცა სიგრძით ის გაჭიმულია. ინგლის - ამერიკელთა ზურგს უკან გერმანულ სიმაგრეთა მთელი რიგი კიდევ მოქმედებს. ამიტომ, შემდეგში მტრის წინსვლა და მისი მომარაგება უფრო გართულდება. მათ კიდევ არ გააჩნიათ გადმოსხმისათვის საჭი-

რო დიდი ნავთსადგური. ორ სახლავო სახელმწიფოს, ინგლისის და ამერიკის ჩქარი გადმოსხმისათვის გააჩნიათ უდიდესი ფლოტი, მიუხედავად ამისა, მათ ფეხის მოდგმისათვის დასჭირდათ ერთი კვირა. ეს ერთი კვირა გერმანიამ მოიხმარა კონტრ-შეტევის მოწყობისა და მტრის გემების გამორკვევისათვის. ეს შეტაკება გადასწყვეტს ევროპის ბედს.

იპრონია

„ჩინეთის ფრონტზე მყოფი იაპონელი ჯარისკაცი დარწმუნებულია იმაში, რომ მათი გერმანელი თანამებრძოლები შესძლებენ ჩრდილო - საფრანგეთში გადმოსხმულ მტრის დამარცხებას“. განაცხადა ლეიტენანტმა იიმამა გერმანულ საინფორმაციო ბიუროს წარმომადგენელთან საუბარში.

ინგლისი

როგორც ინგლისელი კორესპონდენტი დეონ ვილკველმი სწერს, მოკავშირეთა სარდლობისათვის სრულიად მოუ-

ლონდონი იყო ფრანგული სახლავის მტრული განწყობილება თავიანთ „განმანთავის უფლებელთადმი“. ამ გარემოებამ მეტად შეარყია ინგლის-ამერიკელთა ჯარისკაცები, რადგან მათ არწმუნებდნენ, რომ საფრანგეთი მოუთმენლად მოელის „განთავისუფლებას“. კორესპონდენტის აზრით, ფრანგ მოსახლეობას ინგლის - ამერიკელთა მიმართ ცუდი დამოკიდებულება არ აიხსნება მართო მტრის ავიაციის ტერორისტულ თავდასხმებით, არამედ უმეტეს შემთხვევაში ამ ბოლო დროს ფრანგ - გერმანულ ურთიერთობის გაუმჯობესებით.

„უნიტად პრესის“ ახალი გერმანული იარაღის შესახებ

„უნიტედ პრესის“ ლონდონელი კორესპონდენტი ახალი გერმანული იარაღის ხმარების შესახებ შემდეგს იტყობინება: — ყუმბარები, თითო თუ ჯგუფად, მოფრინავდნენ წარმოუდგენელი სიჩქარით. ზოგი ათასი მეტრის სიმაღლიდან ებრძობადა, ზოგი კი სახლის თავზე გადადიოდა. ინგლისელი გამანადგურებლები შეეცადნენ ისინი აეფეთქებიათ. წარმოუდგენელი სიმაღლის აფეთქებებმა შეარყიეს ქალაქი. ყველა დამსწრენი ერთში თანხმდებიან, რომ ახალი იარაღი ატარებს შეუკავებელ, სტიქიურ ხასიათს. ინგლისის ოფიციალური წრეები არც კი ცდილობენ მიჩქმალონ ინგლისზე მოწოლილი საშიშროება“.

უცხოეთის გასწორება

„ლეგიონერის“ № 48-ში, ალ. მანველიშვილის წერილში „წესიერება“, გვ. 2 სვეტი 4, შემოდან ქვემოლ სტრ. 33 „გიორგი ლაშას“ მაგიერ უნდა იყოს „რუსუდანის“.

„ლეგიონერი“-ს რედაქციის მისამართი:

Georgische Betreuungsstelle
16, rue Eugene Delacroix,
Paris (16).

ტელეფონი: TRO 62-16

მეტრო: Pompe ან Trocadero.

ნებართვა «პა 818».

ებდა საკითხის შესწავლას. საქართველოსი და მთელი მსოფლიო ისტორია მის თვალ წინ გადაშლილი იყო როგორც წიგნი.

მისი წერის ფორმა იყო ლაკონური, გრძელი ფრაზა მას არ უყვარდა. კერძო საუბარი მასთან მეტად სასიამოვნო იყო. მისი საუბარი ხუმრობა, ჰუმორი მეტად სასიამოვნო იყო მის

მასლობელთათვის. სამაგიეროდ მწერლობაში მისი ირონია, ხშირად სარკაზმი, გამანადგურებელი იარაღის როლს ასრულებდა. — „ვინ მას ვისცა მოხედეს ხელი შენი მსახვრალი“...

გული გიწუხს, ვერ დამშვიდებულხარ, არ იცი რათი ინუგემო თავი, როდესაც ფიქრობ ამ დიდი ადამიანის გაქრობაზე. ა. დ. ლი.